

(1994)

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 896 (1994)

1994 წლის 31 იანვარი

უშიშროების საბჭო ადასტურებს თავის 1993 წლის 9 ივლისის 849, 1993 წლის 6 აგვისტოს 854, 1993 წლის 24 აგვისტოს 858, 1993 წლის 19 ოქტომბრის 876, 1993 წლის 4 ნოემბრის 881 და 1993 წლის 22 დეკემბრის 892 რეზოლუციებს, კვლავ ადასტურებს აგრეთვე თავის 1993 წლის 29 სექტემბრის 868 რეზოლუციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციების უსაფრთხოების შესახებ,

განიხილა გენერალური მდივნის 1994 წლის 25 იანვრის მოხსენება აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა), ვითარების შესახებ, მიესალმება ქართველთა და აფხაზთა მხარეებს შორის მოლაპარაკების მეორე რაუნდის შესახებ 1994 წლის 13 იანვარს ჟენევაში ხელმოწერილ კომუნიკეს, იმოწმებს 1993 წლის 1 დეკემბერს ჟენევაში ხელმოწერილ გაგების მემორანდუმს და ხაზგასმით აღნიშნავს მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელების დიდ მნიშვნელობას,

ცნობად იღებს იმ ფაქტს, რომ მხარეები კომუნიკეში აცხადებენ, რომ ისინი უწინდებურად მხარს უჭერენ კონფლიქტის ზონაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალების ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ სანქცირებული სხვა ძალების განლაგებას,

ცნობად იღებს აგრეთვე ექსპერტთა დონეზე შემდგომ მოლაპარაკებებს, რომლებიც გაიმართება მხარეებს შორის მოსკოვში 1994 წლის 8 თებერვალს, და გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის განზრახვას მოიწვიოს მოლაპარაკებების ახალი რაუნდი ჟენევაში 1994 წლის 29 თებერვალს,

აღიარებს საქართველოს რესპუბლიკის სერიოზულ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა აფხაზეთიდან გადაადგილებული თითქმის 300 000 კაცის ყოფნის შედეგად,

კვლავ ითვალისწინებს რომში 1993 წლის 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს გამართული ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მინისტრთა დონის შეხვედრის დასკვნებს, და მიესალმება რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის თანამშრომლობას ამ საკითხში:

1. ცნობად იღებს გენერალური მდივნის 1994 წლის 25 იანვრის მოხსენებას;

2. მიესალმება გენერალური მდივნისა და მისი სპეციალური წარმომადგენლის კვლავინდებურ ძალისხმევას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის თავმჯდომარესთან თანამშრომლობით და რუსეთის ფედერაციის მთავრობის დახმარებით, რომელიც ხელშემწყობი მხარეა საყოველთაო პოლიტიკური მოწესრიგების მიზნით სამშვიდობო პროცესის წინ წაწევის გზაზე, და მიესალმება, კერძოდ, დღემდე მიღწეულ პროგრესს;

3. დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს, რაც შეიძლება მალე განაახლონ მოლაპარაკება და უფრო მეტად ცხადყონ მზადყოფნა ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე პროგრესის მიღწევისათვის;

4. მოუწოდებს ყველას, ვისაც ეს ეხება, პატივი სცენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი ასეთ პატივისცემას;

5. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების წარმატებისა და მორიგი კონფლიქტის თავიდან აცილებისათვის დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხში და ამასთან სრულად უნდა სცენ პატივი საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას;

6. ამტკიცებს გაეროს სამშვიდობო ძალების მანდატის გახანგრძლივებას 1994 წლის 7 მარტამდე 892 რეზოლუციის შესაბამისად დადგენილი რიცხოვრივი შემადგენლობით;

7. აცხადებს, რომ მზად არის ოპერატიულად განიხილოს ამ პერიოდში გენერალური მდივნის ყველა რეკომენდაცია გაეროს სამშვიდობო ძალების რაოდენობის მაქსიმალურ ზღვრამდე და-

მატებით გაზრდის შესახებ, რომელიც დათქმულია 858 რეზოლუციაში, თუ გენერალური მდივანი გამოიტანს ასეთ რეკომენდაციას;

8. ცნობად იღებს გენერალური მდივნის მიერ თავის მოხსენებაში აღწერილ ვარიანტებს აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკაში მშვიდობის დაცვის მიზნით ოპერაციების შესაძლო განხორციელებისათვის;

9. სთხოვს გენერალურ მდივანს მხარეებს შორის მოლაპარაკების მესამე რაუნდის დამთავრებისთანავე უშიშროების საბჭოს წარუდგინოს მოხსენება მოლაპარაკებაზე პროგრესის შესახებ, თუ ასეთი რამ იქნება მიღწეული, და ადგილზე არსებული ვითარების შესახებ, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გარემოებებს, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მშვიდობის დაცვის ძალების განლაგებას, და ასეთი ძალების შექმნის ფორმების შესახებ;

10. ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევას მოლაპარაკების შემდგომ რაუნდზე იმისათვის, რომ საბჭომ განიხილოს აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკაში მშვიდობის დაცვის ძალების შესაძლო განლაგების საკითხი;

11. ცნობს ყველა ლტოლვილსა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გადაადგილებული პირების უფლებას დაბრუნდნენ წინასწარი პირობების დაუდებლად თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო პირობებში. მხარეებს მოუწოდებს შეასრულონ ვალდებულებანი, რომლებიც მათ უკვე იკისრეს ამასთან დაკავშირებით, და დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს სასწრაფოდ მიაღწიონ შეთანხმებას, მათ შორის დაადგინონ შესასრულებლად სავალდებულო გრაფიკი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ლტოლვილებისა და გადაადგილებული პირების სწრაფად დაბრუნებას უსაფრთხო პირობებში;

12. გმობს აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკის დემოგრაფიული შემადგენლობის შეცვლის ნებისმიერ გზებს, მათ შორის იმ პირთა ჩასახლების გზით, ვისაც წინათ იქ არ უცხოვრია;

13. მოუწოდებს მხარეებს სრულად დაიცვან ცეცხლის შეწყვეტა, რომლის მიმართაც მათ იკისრეს ვალდებულებანი;

14. დაჟინებით მოუწოდებს მხარეებს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება გაეროს სამშვიდობო ძალების პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და მიესალმება რუსეთის ფედერაციის მზადყოფნას, ხელი შეუწყოს მათ ამასთან დაკავშირებით;

15. მოუწოდებს დონორ სახელმწიფოებს დახმარება გაუწიონ საქართველოს რესპუბლიკას, რათა მან შეძლოს დაძლიოს კონფლიქტის შედეგები, და შეიტანონ შესატანები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჰუმანური მოწოდების პასუხად;

16. ადგენს აქტიურად გაგრძელდეს მუშაობა ამ საკითხზე.

www.un.org/docs; [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, # 22, 1994 წლის 3 თებერვალი](#)